საქართველოს დიადი ლოჟა

უძველესი თავისუფალი და
აღიარებული ქვისმთლელთა (მასონთა) ორდენი

ცნობის ფურცელი **No 2**

გამოცემაში ნახავთ:

დიადი ოსტატის მიმართვა

Ordo ab Chao

მასონობა საქართველოსა და მსოფლიო

მარტინიზმი - ისტორია და საფუძვლები

საქართველოს დიადი ლოჟა

ელ-ფოსტა: info@glg.ge

ვებ-საიტი: www.grandlodge.ge

Facebook გვერდი

https://www.facebook.com/GrandLodge.ge/

საქართველოს დიადი ლოჟის დიადი ოსტატის ყოვლად ღირსეული ძმა ვახტანგ ჯ∴ 2019 წლის მიმართვა

ძვირფასო ძმებო,
ძვირფასო მეგობრებო,
საქართველოს დიადი ლოჟა მნიშვნელოვან ეტაპზე გადადის - 2020 წელს ჩვენ აღვნიშნავთ საქართველოს ისტორიაში პირველი დამოუკიდებელი და სუვერენული დიადი ლოჟის დაფუძნების 5 წლის იუბილეს. როგორ მოხდა დაფუძნებამდე მისვლა, რა მოვლენები და ეტაპები გაიარა საქართველოს დიადმა ლოჟამდა რა გეგმები გვაქვს მომავალში, ამ და სხვა შეკითხვებზე პასუხის მიღება გელით ჩვენი ცნობის ფურცელის ამ გამოცემაში.... (გაგრძელება)

გაგრძ, გვ.2



საქართველოს დიადი ლოჟის დიადი ოსტატის ყოვლად ღირსეული ძმა ვახტანგ ჯ.·.

2019 წლის მიმართვა

ძვირფასო ძმებო,
ძვირფასო მეგობრებო,

საქართველოს დიადი ლოჟა მნიშვნელოვან ეტაპზე გადადის - 2020 წელს ჩვენ აღვნიშნავთ საქართველოს ისტორიაში პირველი დამოუკიდებელი და სუვერენული დიადი ლოჟის დაფუძნების 5 წლის იუბილეს. როგორ მოხდა დაფუძნებამდე მისვლა, რა მოვლენები და ეტაპები გაიარა საქართველოს დიადმა ლოჟამდა რა გეგმები გვაქვს მომავალში, ამ და სხვა შეკითხვებზე პასუხის მიღება გელით ჩვენი ცნობის ფურცელის ამ გამოცემაში.

ჩემი, როგორც საქართველოს დიადი ლოჟის (სდლ) დიადი ოსტატის (დო) კადენცია (პოზიციაზე ყოფნის ვადა) 2019 წლის მარტიდან დაიწყო და მაქვს დიდი პატივი წარვმართო სდლ-ის საქმიანობა შემდეგი 3 წელი. მეამაყება, რომ გადავიბარე საქმე, რომელიც ჩემამდე ღირსეულად იქნა წარმართული და ვაპირებ, ასევე ღირსეულად და პროგრესულად განვაგრძო ძმების მიერ მონდობილი საქმის კეთება.

საქათველოს მოქალაქეთა ინიცირება სხვადასხვა ქვეყნის (იურისდიქციის) სიმბოლურ ლოჟებში (სიმბოლური ლოჟები ქმნიან დიად ლოჟებს, სულ მცირე სამი ასეთი სიმბოლური ლოჟა და 21 ოსტატი მასონი) წინა საუკუნის 90-იანი წლებიდან აღდგა. სამწუხაროდ, საქართველოს გასაბჭოების გამო (1921-1991 წწ) მასონური ტრადიცია და ხელდასმა საქართველოს ტერიტორიაზე დაიკარგა, რადგან საბჭოთა რეჟიმი აშკარად და აგრესიულად ებრძოდა მასონებს და ყველას, ვისაც თავისუფალი და განსხვავებული აზრი მოჰქონდა საზოგადოებისთვის. პირველი ქართველი მასონების ინიცირების შესახებ წყაროები ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში (20-30-იანი წწ) გვხდება, თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე 2015 წლამდე დამოუკიდებელი მასონური წესდება თუ იურისდიქცია არ ყოფილა. ქართველებს იღებდნენ რუსეთის იმპერიის ფარგლებში, რუსეთის ტერიტორიაზე, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, პოლონეთში, ა.შ.
პირველი ქართული ლოჟები საქართველოს მიწა-წყალზე XIX საუკუნის ბოლოს, XX საუკუნის დასაწყისში ფუძნდება. რა თქმა უნდა, ისინი არ იყვნენ სუვერენული ქართული დიადი ლოჟის ნაწილი, ვინაიდან ასეთი არ არსებობდა (საქართველო იყო ანექსირებული რუსეთის მიერ და შესაბამისად დამოუკიდებელი სტრუქტურა ვერ იარსებებდა), მაგრამ ამ ლოჟების დაფუძნება ქ. ქუთაისში, ქ. თბილისში და სავარაუდოდ ქ. ბათუმში წინ გადადგმული ნაბიჯი იყო მომავალში საქართველოს სუვერენული მასონური სტრუქტურის ინსტალაციისთვის. 1918-1921 წწ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მრავალი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მთავრობის, პარლამენტის, ოპოზიციის თუ სამღვდელოების წარმომადგენლი მიეკუთვნებოდა მასონურ ლოჟებს, რომლებიც თავის მხრივ რამდენიმე მსოფლიო მასონური ხაზის ნაწილი გახლდათ. მათ შორის იყო საფრანგეთის დიადი ლოჟის და საფრანგეთის დიადი აღმოსავლეთის (აგრეთვე, რუსეთის ხალხთა დიადი აღმოსავლეთის) იურისდიქციების ლოჟები. სწორედ ამ წლებში მასონი ძმების საზოგადოებრივი აქტიურობის დამსახურებით შეიქმნა ქართული ეროვნული საჯარისო ნაწილები, დაიწერა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნი და სახელმწიფოს კონსტიტუცია, გატარდა განათლების რეფორმა, აღდგა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია, და მრავალი სხვა... ამ საკითხებს მივუძღვნით 2020 წელს ჩვენს მცირე წიგნს - ბროშურას, რომელიც ჩვენი დიადი ლოჟის 5 წლის საიუბილეოდ გამოიცემა. 1921-1924 წლებში ბევრი ქართველი მასონი იბრძოდა საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, მათი ნაწილი დაიღუპა კიდეც ბოლშევიზმთან უთანასწორო ბრძოლაში.

1924 წელს უკვე ემიგრაციაში ფუძნდება ლოჟა „ოქროს საწმისი", რომელიც მალევე გაიყო ორ ახალ ლოჟად - „იუპიტერი", რომელშიც გაწევრიანდნენ ძირითადად სლავები სომხებთან ერთად და „პრომეთე" № 558 (საფრანგეთის დიადი ლოჟა) - რომელშიც ქართველები, მუსლიმები (დღევანდელი აზერბაიჯანის რესპუბლიკა) და ჩრდილო კავკასიელები შევიდნენ.

XX საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში საქართველოს მეორე რესპუბლიკამ გაიარა ურთულესი წლები. მასონური აქტივობა მაშინ საქართველოში სიურეალიზმის ტოლფასი იყო. XXI საუკუნის დასაწყისში უკვე რამდენიმე ქართველი მასონი გვხდება, რომელიც არა მხოლოდ გაწევრიანებულია სხვადასხვა ქვეყნის მასონურ გაერთიანებებში, არამედ აქტიურად მოქმედებდნენ საქართველოში სინათლის შემოსატანად. დღესაც, ბევრი ქართველი მასონია მსოფლიოში გაფანტული უცხო ქვეყნის დიად ლოჟებში. ვიმედოვნებ, რომ მომდევნო წლებში ეს ძმები დაუბრუნდებიან საქართველოს, მათ სამშობლოს, ასევე, შემოგვიერთდებიან საქართველოს დიად ლოჟაში.

აქ, არ მსურს ვისაუბრო 2008-2014 წწ საქართველოში მასონური ორდენის განვითარების პროცესზე, თურამდენი უღირსი ადამიანი, ორგანიზაცია თუ უცხო ქვეყნის სხვადასხვა ჯგუფი ლამობდა დაემორჩილებინათავისუფალი, სუვერენული, ქართული, ეროვნული და პროგრესზე ორიენტირებული მასონური მოძრაობა. ურთულესი პროცესები გავიარეთ სწორედ ამ წლებში. 2014 წელს კი დავდექით რთული გადაწყვეტილებისწინაშე - ან 2015 წელს რუსეთის დიადი ლოჟის და სხვა ევროპული თუ ამერიკული მასონური იურისდიქციებისდახმარებით დაგვეარსებინა პირველი და რაც მთავარია დამოუკიდებელი დიადი ლოჟა ან კვლავათწლეულები ვყოფილიყავით ქაოსში, რაც საქართველოს დააკარგვინებდა ამ უნიკალურ შესაძლებლობას - ქართული მასონური ორდენი ხომ კიდევ ერთი თავისუფალი ხიდია საქართველოსა და პროგრესულსამყაროს შორის...

მიღწეული იქნა შეთანხმება, ქართველ ძმებსა და რუსეთის დიად ლოჟას შორის. შემიძლია გამოვყო ჩვენი მთავარი მოთხოვნები - ოკუპირებული ტერიტორიების ცნობა საქართველოს სახელმწიფოს და შესაბამისად - დიადი ლოჟის იურისდიქციაში და ნებისმიერი მასონური აქტივობის შეჩერება ქ. სოხუმში, ჩაურევლობა შიდა სუვერენულ საკითხებში, საერთაშორისო ასპარეზზე დაბრკოლებების მოხსნა. მარტივად, რუსეთს დიადი ლოჟა იღებდა რაც მას სურდა - უშუალოდ მონაწილეობას მიიღებდა საქართველოში მასონურ დიად ლოჟის დაფუძნებაში, ჩვენ კი ვიმედოვნებდით, რომ შესრულდებოდა პირობები, რომელიც გააძლიერებდა არა მხოლოდ საქართველოს დიად ლოჟას, არამედ ქართულ სახელმწიფოს. აგრეთვე, ჩვენი მხრიდან იყო დიდი დათმობა - რუსეთის დიადი ლოჟა შემოგვთავაზებდა პირველი დიადი ოსტატის, დიადი მდივნის და კიდევ ორი დიადი ოფიცრის კანდიდატებს 3 წლის ვადით ასარჩევად, მორიგ არჩევნებამდე.

2015 წლის 14 მარტს, სიმბოლურმა ღირსეულმა ლოჟებმა „მეფე დავით აღმაშენებელი", „გიორგი V ბრწყინვალე" და „წმინდა თამარ მეფე", მათმა 21 და მეტმა წევრმა ოსტატმა მასონმა დააფუძნა საქართველოს ისტორიაში პირველი სუვერენული, დამოუკიდებელი და კანონიერი საქართველოს დიადი ლოჟა, რომელიც შექმნილია მასონური ტრადიციებისა და წესების სრული დაცვით და რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დიადი ლოჟის ინსტალაციის რიტუალი ჩაატარა რუსეთის დიადმა ლოჟამ, რომელსაც ესწრებოდნენ იტალიის, ნიუ იორკის და სხვა დიადი ლოჟების წარმომადგენლები.

უკვე რამდენჯერმე გავიმეორე ტერმინი „ისტორიული მოვლენა". დიახ, ეს ნამდვილად, ისტორიული მოვლენა იყო საქართველოს ისტორიაში. რაც მთავარია, შეიქმნა ინსტიტუცია, რომელიც დამოუკიდებელი იყო მის ყველა გადაწყვეტილებაში და იწყებდა ორმხრივ და ყოვლისმომცველ ურთიერთობათა აწყობას მსოფლიოს სხვადასხვა მასონურ სტრუქტურასთან, რაც ხელს შეუწყობდა (და შეუწყობს მომავალში) არა მხოლოდ საქართველოს მასონურ იურისდიქციას, არამედ ჩვენს სახელმწიფოს - საქართველოს და მის სწრაფვას პროგრესულ და განვითარებულ საზოგადოებათა შორის დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი.

სამწუხაროდ, 2016 წელს, საქართველოს დიადი ლოჟა დადგა მტკივნეული (ნებისმიერი მასონური იურისდიქციისთვის) გადაწყვეტილების მიღების წინაშე. ნათლად გამოჩნდა, რომ რუსეთის დიადი ლოჟა მისი წარგზავნილი დიადი ოფიცრების მეშვეობით გეგმავდა საქართველოს დიადი ლოჟის განვითარების შეფერხებას, მათთვის არასასურველ ადგილობრივ ძმათა „მიძინებას" და წარდგენილი მარიონეტების მეშვეობით საკუთარი პოლიტიკური თუ სხვა ინტერესების მართვა - გატარებას. დეტალებზე და მაშინდელ მოვლენებზე თქვენი ყურადღება რომ აღარ შევაჩერო, 2016 წლის 31 მაისს საქართველოს დიადი ლოჟის ყველა (ხუთივე) ლოჟის ყველა წევრი ძმის გადაწყვეტილებით,

სდლ-ის დიად ოსტატს - არჩილ ე.-ს გამოეცხადა უნდობლობა და ეთხოვა გადადგომა, რაზეც მიღებული უარის შემდგომ, მასონური ეთიკისა და მორალის სასამართლოს განჩინებით, გამოეცხადა სრული უნდობლობა, შეუჩერდა უფლებამოსილება და 2016 წლის ოქტომბერს, საქართველოს დიადი ლოჟის რიგგარეშე ასამბლეაზე იქნა გადაყენებული. იმავე ასამბლეაზე, დელეგატთა სრული უმრავლესობით საქართველოს დიადი ლოჟის დიად ოსტატად არჩეულ იქნა 2019 წლის მარტამდე ყოვლად ღირსეული ძმა ირაკლი მ\ .

რუსეთის დიადმა ლოჟამ უხეშად დაარღვია 2014 წელს დადებული პირობა, ოფიციალურად კვლავ განაგრძობდა რა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ მოხსენიებას. აგრეთვე, ქ. სოხუმში მუშაობას აგრძელებდა (ფორმალურად მაინც) ლოჟა „ლეონ დიდი", რაც ეწინააღმდეგებოდა, როგორც მიღწეულ შეთანხმებას, ასევე, სახელმწიფოებრივ და საერთაშორისო პრინციპებსა და სამართალს, მათ შორის, რაც მნიშვნელოვანია, მასონურ წესებს, ტრადიციებსა და სამართალს. მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა და გაფრთხილებისა, რუსეთის დიადი ლოჟა კვლავ ინარჩუნებდა არამეგობრულ, არაძმურ პოზიციას და ხელს უშლიდა სდლ-ს საერთაშორისო ურთიერთობების მართებულ განვითარებაში. შესაბამისად, საქართველოს დიადი ლოჟის დიადი ოსტატის, დიად ოფიცერთა საბჭოს და 2017 წლის ასამბლეის დელეგატთა გადაწყვეტილებით და თანხმობით, საქართველოს დიადმა ლოჟამ გაიწვია რუსეთის დიადი ლოჟის აღიარება და შეწყვიტა მასთან ნებისმიერი კავშირი.

2017 წლიდან, საქართველოს დიადი ლოჟა განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდა, მიიღო რამდენიმე ახალი საერთაშორისო, თუ ორმხირივი აღიარება, მათ შორის სამხრეთ აფრიკის, საფრანგეთის, იტალიის, ინდოეთის, მავრიკის თუ სხვათა და რაც ყველაზე მთავარია, 2017 წლის 12 დეკემბერს, ქ. პარიზში გადმოეცა ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდების პატენტი (მასონური ხელდასმის, არსებობის, ფუნქციონირების და მომავალი განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტი, დაბადების მოწმობა), რომელმაც აღადგინა ისტორიული კავშირები და სამართლიანობა, საქართველოს დიადი ლოჟა და ქართული მასონობა დაუბრუნდა მის ევროპულ ფესვებს. ცნობისთვის, საფრანგეთმა თავის მხრივ მასონური ტრადიცია მიიღო უშუალოდ შოტლანდიიდან.

2017 – 2019 წწ საქართველოს დაიდი ლოჟა იქნა აღიარებული რამდენიმე ათეული დიადი ლოჟის მიერ, მათ შორის საბერძნეთი, ბულგარეთი, ლატვია, მოლდოვა, საფრანგეთი, კუბა, ეკვადორი, ისრაელი და მრავალი სხვა. 2017 წელს საქართველო გახდა კავკასიის მასონთა კონფედერაციის წევრი, ხოლო 2018 წლიდან ევროპის დიად ლოჟათა კონფედერაციის და ასევე, მსოფლიოს გაერთიანებულ დიად ლოჟათა საერთაშორისო კონფედერაციის (CIGLU) წევრი. 2019 წლის მარტიდან კი ის შავი ზღვის მასონთა ალიანსის დამფუძნებელი და წევრია.

მნიშვნელოვანია, რომ ინგლისის გაერთიანებული დიადი ლოჟის და ინგლისის ვარდისა და ჯვრის (როზენკროიცერთა) საზოგადოების საბჭოების გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დიადი ლოჟა ჯერ არ არის აღიარებული ინგლისის გაერთიანებული დიადი ლოჟის მიერ (რასაც გარკვეული ვადა და პროცედურები სჭირდება), სდლ-ის წევრებს, მიეცათ უფლება (რაც იქნა სამართლებრივად აღწერილი და ცვლილებები შეტანილი ორივე ზემოთ აღნიშნული საზოგადოების საერთო - გენერალურ წესდებებში) გაწევრიანდნენ როგორც SRIA-ში (ინგლისის როზენკროიცერთა საზოგადოება), ასევე სხვა ეზოთერულ ანგლიკანურ მიმართულებებში (მაგ. მარტინისტების ჰერმეტული ორდენი, სხვადასხვა რაინდულ ორდენში, ა.შ.).

საფრანგეთის მხარდაჭერა აბსოლუტური და ყოვლისმომცველია, როგორც დიადი ლოჟის დონეზე, ასევე უმაღლესი ხარისხების მიღების და ოცდამეცამეტე და ბოლო ხარისხის სუვერენულ ინსპექტორთა საქართველოს უმაღლესი საბჭოს შექმნის კუთხით. საქართველოში უკვე დაწყებულია საქართველოს დიადი ლოჟის იურისდიქციის სიმბოლურ ლოჟებში შემავალი მასონი ოსტატების მიღება უმაღლეს ხარისხებში (40 – 330), ხოლო 2020 წელს, საქართველოში სუვერენული უმაღლესი საბჭოს დაფუძნებამდე, მოხდება პირველი ქართული სრულყოფილების ლოჟის (40-140 ხარისხები) ინსტალაცია ქ. თბილისში, რომელიც გარდამავალი პერიოდის განმავლობაში საფრანგეთის უმაღლესი საბჭოს იურისდიქციის ქვეშ იმუშავებს.

რა თქმა უნდა, არის გამოწვევებიც, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე. გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, იმისათვის, რომ მსოფლიოს მასონურ წრეებში საქართველო გაიცნონ როგორც ევროპული, კავკასიური სახელმწიფო, ისევე როგორც თავად საქართველოს დიადი ლოჟა.

სამწუხაროა, რომ რუსეთის დიადი ლოჟის თაოსნობით არ წყდება პროვოკაციები და მავნებლური აქტივობები, რომელთა შორის აღსანიშნავია „პარალელური“ სტრუქტურის - „გაერთიანებული დიადი ლოჟის“ დაფუძნება 2018 წლის აგვისტოში, რაც ნიშანდობლივად დაამთხვიეს რუსეთ-საქართველოს ომის ათი წლისთავს და ამ წარმონაქმნში გააერთიანეს, როგორც საქართველოსადმი ნეგატიური „ფუნქციის“ მატარებელი საეჭვო პირები, ასევე, რამდენიმე ღირსეული მამაკაციც, რომელიც სავარაუდოდ ჯერ ვერ ხვდება სად მოხვდა და რა მიზნებს ემსახურება, ნებსით თუ უნებლიედ. მიუხედავად იმისა, რომ მასონობა დგას პოლიტიკისა და რელიგიის მიღმა, თითოეული მასონი რჩება საკუთარი ქვეყნის, სამშობლოს და მისი ინტერესების ერთგულ პატრიოტად, ეს არ უნდა დაგვავიწყდეს არავის!

და ბოლოს, გეგმები... მრავლად გვაქვს და საკმაოდ საინტერესო - მეტი ურთიერთობა საზოგადოებასთან და მედიასთან, მეტი გამჭირვალეობა ჩვენი აქტივობების, რაც არ არის დაკავშირებული რიტუალურ საქმიანობასთან, „მუშაობასთან“, მეტი ახალი, ღირსეული და პროგრესზე ორიენტირებული წევრი და სიმბოლური ლოჟები საქართველოში, სდლ-ის იურისდიქციის ქვეშ. 2020 წლის ეროვნული ასამბლეა, აგრეთვე, იქნება ახალი ეტაპის დასაწყისი, ველოდებით რამდენიმე ახალ აღიარებას, საერთო პროგრამას ჩვენს უცხოელ ძმებთან ერთად, მეტი აკადემიური და საგანმანათლებლო მუშაობა.

მასონური ორდენი ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს ერთ-ერთ ხერხემალს წარმოადგენს. იგი არისგანმანათლებლური, პროგრესული და მომავალზე ორიენტირებული საზოგადოება. მასონურ ორდენშიყოველი ღირსეული კანდიდატი და შემდგომ წევრი პოულობს იმას, რისთვისაც იგი მოდის, თუ მისისურვილები და მისწრაფებები არის ჭეშმარიტი, ღია და სუფთა.

WWW.GRANDLODGE.GE

სრულყოფილების ლოჟა „პრომეთე“

(საფრანგეთის უმაღლესი საბჭო) სამჯერ ძლევამოსილი ოსტატი ირაკლი მ.∴

Ordo ab Chao

ძვირფასო მკითხველო,

ბევრი გსმენიათ ალბათ მასონურ უმაღლეს ხარისხებზე, ე.წ. „33-თა უმაღლეს საბჭოზე“ და ამ ყველაფერთან დაკავშირებულ ლეგენდების შესახებ. საქართველოში ნაკლებად არის გაცხადებული ეს საკითხები და ამგამოცემაში მომეცა საშუალება მეტი მესაუბა ძველ და აღიარებულ შოტლანდიურ წესდებაზე - Ancient andAccepted Scottish Rite. ერთ სტატიაში რთულია სრულად დაფარო საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ამ უძველეს მასონურ მიმართულებასთან, შევეცდები, მოკლედ მოგითხროთ ამ საკითხზე და საქართველოშიწესდების განვითარების შესახებ.

შოტლანდიური წესდების რიტუალები არსებობდა უძველესი ხანიდან, XVII საუკუნის ბოლოს, XVIII საუკუნისდასაწყისში ეს რიტუალები (მათი რიცხვი მაშინ 25-ს შეადგენდა) მოხვდა საფრანგეთში შოტლანდიიდან, ბორდოს ლოჟის გავლით. მისი სახელწოდება, შოტლანდიელი ემიგრანტების დამსახურებაა, რომლებიც ინგლისელებს გაურბოდნენ საფრანგეთში. უმაღლესი რიტუალების სისტემა, როგორც ერთიანი სტრუქტურა მაშინ არ არსებობდა.

ენდრიუ რამსის მეშვეობით, „მაღალი საფეხურების“ სისტემა ნელ-ნელა დამკვიდრდა ბევრ ფრანგულ ლოჟაში, XVIII საუკუნეში კი ფრანგულ კოლონიებში შოტლანდიური რიტუალები ეტიენ მორინთან ერთად შევიდა, როდესაც შევალიე მორინი „ახალი სამყაროს დიად ინსპექტორად“ დაინიშნა. მან 25 საფეხურიანი წესდებით მომუშავე „სრულყოფის ორდენი“ ჩამოაყალიბა სან-დომინგოზე და სწორედ კარიბის ზღვის ამ კუნძულიდან გავრცელდა შოტლანდიური წესის რიტუალები ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე და შემდგომ მთელს მსოფლიოში. 1765 წელს ორდენი დაფუძნდა ნიუ იორკში, ხოლო 1783 წელს ჩარლსტონში, ჩრდ. კაროლინაში.

სწორედ ჩარლსტონში, ვითარდება შოტლანდიური წესდება (Rite) და ყალიბდება როგორც სტრუქტურა. 1801 წელს „სრულყოფის ორდენი“ იცვლის სახელწოდებასა და სტრუქტურას, როდესაც ჩარლსტონში ჩამოდიან მეფე ფრედერიკ დიდის წარგზავნილები - ფრედერიკ დალკო და ჯონ მიტჩელი. მათ ჩამოიტანეს ორდენისახალი წესდება, რომელშიც დამატებით 8 საფეხური იყო გათვალისწინებული და სახელწოდება იყოშეცვლილი - ორდენს „ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდება“ ეწოდა. მის დაფუძნებაში მონაწილეობდნენ, როგორც ინგლისელი, ასევე ფრანგი მასონები.

1801 წლის 31 მაისს, ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდების ოცდაცამეტთა ხარისხის უმაღლესი საბჭო დაარსდა (მას ეწოდება „სამხრეთ იურისდიქცია“). ამერიკის ტერიტორიაზე შოტლანდიური წესდება აქტიურად მხოლოდ სამხრეთ შტატებში ვითარდებოდა, ჩრდილოეთით კი ბრიტანული იორკული წესდება დომინირებდა. ასეთი სუსტი პოზიციები აშშ-ის სამოქალაქო ომის დასრულებამდე შენარჩუნდა, მხოლოდ 1867 წელს, შოტლანდიური წესდება გაძლიერდა აშშ-ის ჩრდილოეთშიც, როდესაც „ჩრდილოეთის მასონური იურისდიქცია“ დაფუძნდა. 1802 წელს აშშ-ს სამხრეთ იურისდიქცია გასცემს პატენტს, რომელიც საფრანგეთში ჩადის და გადაეცემა ფრანგ მასონებს. ასე, საფრანგეთიდან წასული შოტლანდიური უძველესი რიტუალები, უკან დაბრუნდა ისევ საფრანგეთში, ახალი სისტემის, წესდების სახით. 1804 წელს მსოფლიოში მეორე, ხოლო ევროპაში პირველი - საფრანგეთის უმაღლესი საბჭო ფუძნდება.

ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდების დევიზია „Ordo ab Chao“ – “წესრიგი ქაოსის მაღლა“. ეს დევიზი საუკეთესოდ ასახავს ორდენის არსს 19-ე საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც მასონობა იყო უდიდესი ღირსება, პატივი და ამასთანავე, ორდენი აძლევდა მის წევრებს საშუალებას, მიეღოთ დამატებითი ცოდნა. ეს დევიზი პირველად სწორედ 1802 წელს გაცემულ პატენტში გამოჩნდა.

საფრანგეთიდან „ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდების“ უმაღლესი ხარისხები ევროპის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა, უმაღლესი საბჭოები ფუძნდება ნიდერლანდებში, იტალიასა და სკანდინავიაში, ა.შ. აქვე, მსურს დავძინო, რომ შოტლანდიური წესდების პირველი სამი საფეხური, სიმბოლური მასონობა, მოსწავლის, შეგირდისა და ოსტატის ხარისხები, შედის დიადი ლოჟის სუვერენულ იურისდიქციაში, ხოლო მეოთხე და ზედა ხარისხები, მ.შ. 33-ე, შედის უმაღლესი საბჭოს სუვერენულ იურისდიქციაში. ეს ორი სტრუქტურა ერთმანეთის იურისდიქციაში არ ერევა და მათ შორის ჰარმონიული ძმური ურთიერთობები და თანამშრომლობაა. თავისთავად, ძმა მასონი უნდა იყოს აყვანილი ოსტატის (მესამე) ხარისხში, იმისათვის, რომ მან (სურვილის და მიწვევის შემთხვევაში) განვითარება გააგრძელოს წესდების უმაღლეს ხარისხებში. თუ დიად ლოჟას ხელმძღვანელობს დიადი ოსტატი და დიად ოფიცერთა საბჭო, უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელობს დიადი კომანდორი და დიად ოფიცერთა შემადგენლობა.

აქვე, მოკლედ მოგახსენებთ 40 - 330 ხარისხების სისტემის სტრუქტურის შესახებ:
ძველ და აღიარებულ შოტლანდიურ წესდებაში, ზედა ხარისხებში შედის რამდენიმე სტრუქტურა - ლოჟა, მათ შორის:

1. სრულყოფილების ლოჟა: მეოთხე - მეთოთხმეტე ხარისხები, რომელზეც მუშაობა სოლომონის ტაძრის, დაკარგული სიტყვის და ღმერთის უთქმელ სახელთან დაკავშირებულ რიტუალებზეა დაფუძნებული;
2. როზენკროიცერული ხარისხი ანუ კაპიტული: მეთხუთმეტე - მეთვრამეტე ხარისხები;
3. კადოშის საბჭო ანუ არეოპაგი: მეცხრამეტე - ოცდამეათე ხარისხები, მუშაობა ტაძრელთა ფილოსოფიურ სიმბოლიკასთან არის დაკავშირებული. კადოში ებრაული სიტყვაა და წმინდას ნიშნავს;
4. სამეფო საიდუმლოს უფლისწულთა კონსისტორია და ტრიბუნალი: ოცდამეთერთმეტე და ოცდამეთორმეტე ხარისხები;
5. უმაღლესი საბჭო - ოცდამეცამეტე და ბოლო ხარისხი.

სამწუხაროდ, პოლიტიკური მიზეზების და გამო (მეფე იაკობი და იაკობინელები) ინგლისმა და მისმა კოლონიებმა წესდების წარმოშობის ფესვების მიჩქმალვა გადაწყვიტა, ამიტომ, ინგლისში ამ წესდებას მხოლოდ „ძველი და აღიარებული წესდება“ ეწოდება. ასევე, ძველი რიტუალები თითქმის უცვლელად მხოლოდ საფრანგეთში (საფრანგეთის უმაღლესი საბჭო - Suprême conseil de France) და მისგან გაცემულ პატენტიან იურისდიქციებში შემორჩა, აშშ-სა და ინგლისურ კოლონიებში რიტუალებმა სახე იცვალეს. განახლებულ რიტუალთა ყველაზე ცნობილ ავტორად ალბერტ პაიკი ითვლება.

1862-1868 წლებში, დევნილი, როგორც კონფედერატების აგრეთვე უნიონისტების მიერ, ოჯახის და კაპიტალის გარეშე დარჩენილი, ალბერტ პაიკი მიდის ოზარკის მთებში, სადაც ის, მთელი ეს პერიოდი, ცხოვრობს მარტო, სწავლობს ჰერმეტიკას, ალქიმიას, კაბალას, აღმოსავლურ ხელნაწერებსა და ფილოსოფიას. ამავე პერიოდში იგი ამუშავებდა შოტლანდიური წესდების რიტუალებს, დასავლური ეზოტერიკული ტრადიციების კვალდაკვალ. მუშაობის დასრულების შემდგომ, იგი მიემგზავრება ქ. ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქი და გადასცემს თავის ნაშრომებს შოტლანდიური წესის ჩრდილოეთ იურისდიქციის უმაღლეს საბჭოს. ა. პაიკი ვაშინგტონში 1891 წელს გარდაიცვალა. პაიკის კვლევების შედეგებს და დასკვნებს ბევრი მასონური იურისდიქცია არ ეთანხმება.

რაც ეხება შოტლანდიურ წესდებას და საქართველოს. საქართველოს ტერიტორიაზე არა მხოლოდ დამოუკიდებელი და სუვერენული უმაღლესი საბჭო არ არსებობდა (და არ არსებობს დღეის მდგომარეობით), არამედ არც მისი სტრუქტურული ერთეულები იყო. ქართველი მასონები იყვნენ რუსეთის ხალხთა დიადი აღმოსავლეთის (ე.წ. არარეგულარული მასონური გაერთიანება) უმაღლესი საბჭოს წევრები, მაგ. კარლო ჩხეიძე და ნოე ჟორდანია. საფრანგეთში ემიგრაციის შემდგომ, ისინი შეუერთდნენ საფრანგეთის დიად აღმოსავლეთს, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოდან აღარ ითვლება რეგულარულ მასონურ ერთობად. საფრანგეთში, ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდების (AASR, ფრანგულად კი- REAA) ტრადიციებისა და წესების ერთადერთი ჭეშმარიტი დამცველი საფრანგეთის უმაღლესი საბჭოა.

სწორედ საფრანგეთის უმაღლესი საბჭოს დიადი კომანდორისა და ოფიცერთა (ე.წ. 33-თა საბჭოს წევრთა) 2018 წლის გადაწყვეტილებით დაიწყო ქართველი ძმების მიღება წესდების უმაღლეს ხარისხებში, საქართველოს ტერიტორიაზე, ქ. თბილისში. ეს არის პირველი ნაბიჯები 40 – 330 ხარისხების მიღების და საქართველოში საფრანგეთის უმაღლესი საბჭოს ჯერ სტრუქტურული ერთეულების (სრულყოფილების ლოჟა, რომელიც 2020 წლის გაზაფხულზე ფუძნდება ქ. თბილისში, კაპიტული, არეოპაგი...) დაფუძნების, ხოლო შემდგომ დამოუკიდებელი და სუვერენული ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდების (ოცდამეცამეტე და ბოლო ხარისხის სუვერენულ ინსპექტორთა) საქართველოს უმაღლესი საბჭოს დაფუძნების გზაზე.

მსურს, მოგილოცოთ დამდეგი 2020 წელი და გისურვოთ წარმატებები! მოხარული ვარ, რომ წილად მხვდა პატივი პირველი ქართული სრულყოფილების ლოჟის „პრომეთე“-ს ძმების და საფრანგეთის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, გავხდე ლოჟის სამჯერ ძლევამოსილი ოსტატი. დარწმუნებული ვარ, რომ სულ მალე, რამდენიმე წელიწადში, რაც საკმაოდ გონივრული ვადაა, დაფუძნდება საქართველოს ისტორიაში პირველად საქართველოს უმაღლესი საბჭო, რომელიც ღირსეულად იქნება წარმოდგენილი მსოფლიო უმაღლეს საბჭოთა კონფედერაციაში და დაესწრება ისტორიულ მსოფლიო კრებას, რომელიც 2025 წელს არის დაგეგმილი. უმაღლესი ხარისხების მიღება საქართველოში დაშვებულია მხოლოდ საქართველოს დიადი ლოჟის იურისდიქციაში შემავალი სიმბოლური ლოჟების ოსტატებისთვის, ლოჟის წარდგინებით და/ან უმაღლესი საბჭოს მიწვევით.

მადლობა ყველა ქართველ და ფრანგ ძმას, ვინც აქტიურად იყო ჩართული საქართველოში უმაღლესი ხარისხების შემოტანის და მომავალში საქართველოს უმაღლესი საბჭოს დაფუძნების საქმეში. ვდებთ პირობას, რომ სიკვდილამდე ვიქნებით ერთგული ყველა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც აღებული გვაქვს კაცობრიობის წინაშე, ჩვენი სახელმწიფოს და სამშობლოს მიმართ, ჩვენი ღირსეული ლოჟის წინაშე, ჩვენი ოჯახების წინაშე, ჩვენი ძმების მიმართ, ჩვენი თანამოქალაქეების, მეგობრების და მოყვასთა მიმართ, და მათ არასდროს არ ვუმტყუნებთ და ვუღალატებთ, იძულების, უბედურების, ნებისმიერი საშიშროების თუ დევნის შემთხვევაშიც კი.

დაე იყოს ასე, დაე იყოს ასე, დაე იყოს ასე!

საქართველოს დიადი ლოჟის დიადი კანცლერი ფრიად ღირსეული ძმა დავით ჭ.∴

საქართველო და მსოფლიო

ძვირფასო ძმებო და მეგობრებო,

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოგილოცოთ შობის დღესასწაული და დამდეგი 2020 წელი! გისურვებთ მშვიდობას, ჰარმონიას, ჯანმრთელობასა და ბედნიერებას!

როგორც მოგეხსენებათ, მასონური ორდენი, როგორც სხვადასხვა პოლიტიკური ხედვის, რასის, ასაკის, აღმსარებლობის თუ სხვა მრავალფეროვნების მქონე წევრების ერთობა, მუდამ დგას პოლიტიკისა და რელიგიის მიღმა. ეს პრინციპი არის უნივერსალური, წარმოადგენს რა მასონური ორდენის რეგულარულობისა და ტრადიციების ქვაკუთხედს, რომელის დარღვევა თუ უგულებელყოფა დაუშვებელია.
ამასთანავე, ყოველივე მასონი არის მისი სახელმწიფოს, კანონიერად არჩეული ლეგიტიმური ხელისუფლების და მოქალაქეთა ერთგული, კანონმორჩილი და ეროვნული ინტერესების გამტარებელი. ყოველივე ეს, აისახება ამა თუ იმ იურისდიქციის წევრი ძმის მენტალურ მდგომარეობაზე, თუ ის ჭეშმარიტად გულწრფელი და პატრიოტია.

მასონურ ორდენს და მის წევრებს მუდამ ებრძოდა ბნელი ძალა, ადამიანები, ორგანიზაციები თუ ინსტიტუტებიც კი, რომელთა მიზანი იყო აბსოლუტური ძალაუფლება, როგორც ფიზიკური, ასევე მოქალაქეთა ცნობიერებაზე. წინა საუკუნეში შეიძლება გამოვყოთ ფაშისტურ-ნაცისტური რეჟიმი და კომუნიზმი, რომელიც თავისი არსით დიდად ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა.

ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნამ ნეგატიურად იმოქმედა ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე; ლოგიკური აზროვნების გამართულ განვითარებაზე და პიროვნების ინდივიდუალიზმზე. განსაკუთრებული ზიანი ქვეყანას და საზოგადოებას ინფორმაციულმა იზოლაციამ მიაყენა, ისევე როგორც ფსევდო ფასეულობების თავს მოხვევამ. არსებულ ვაკუუმში საზოგადოებას მიეწოდებოდა მხოლოდ სახელმწიფო - საბჭოთა აპარატისთვის მისაღები ინფორმაცია - აზრები და შეხედულებები, როგორც პოლიტიკურ მმართველობაზე, ასევე ზოგადად ყოფაზე, ადამიანურ ფასეულობებზე, ღირსებაზე, რწმენაზე, თავისუფლებაზე, ა.შ.

90-ანი წლების დასაწყისში საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, გაიხსნა ქვეყნის საზღვრები, შემოვიდა დამოუკიდებელი ბეჭდვითი თუ ელექტრონული მედია, გაიზარდა იმ ადამიანების რაოდენობა ვინც საზღვარგარეთ იღებს განათლებას და შედეგად ნელ-ნელა ყალიბდება დემოკრატიული სამოქალაქო საზოგადოება. მიუხედევად ყველაფრისა, მაინც არ არსებობს მრავალ საკითხზე ადეკვატური და მრავალფეროვანი შეხედულებები. რიგი საკითხები საერთოდ ტაბუ დადებულია.

საქართველოს და მისი მოქალაქეთა დიდ, გადამწყვეტ უმრავლესობას, სურს ევრო- ატლანტიკური ინტეგრაცია, ქართული ტრადიციებისა და დასავლური ფასეულობების სიმბიოზი, სამშობლოს პროგრესულად განვითარება და ეს განვითარება დამყარებულია განათლებაზე, ტოლერანტობაზე, დემოკრატიული პრინციპების და ადამიანის ინდივიდუ-ალიზმის პატივისცემაზე, თავისუფლებაზე, თანასწორობაზე და სამართლიანობაზე, კანონის უზენაესობაზე, გამჭირვალეობაზე და წარმატებულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის განვითარებაზე, ქვეყნის, სახელმწიფოს მიერ მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების მიზნით. საბჭოური და ტოტალიტარული აზროვნება, წარსული თუ მცდელობა იმისა, რომ საქართველო მეტაფიზიკურად, სულიერად და კულტურულად დაუბრუნდეს ნაკლებად წარმატებულ და რეგრესულ სახელმწიფოთა ზეგავლენის ორბიტას - ყოვლად მიუღებელია, როგორც საქართველოსთვის, მისი მოქალაქეებისთვის, მათ შორის ჩვენთვის - ქართველი მასონებისთვის.

გემოვნებაზე, პოლიტიკაზე და რელიგიაზე არ დაობენ ორდენში, ინდივიდუალურ ძმას გააჩნია საკუთარი ხედვა, მისწრაფება და აზრების გამოხატვის უფლება. ამასთანავე, საქართველოს დიადი ლოჟა მიზნად ისახავს მაქსიმალური შემართებით და მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით დაამყაროს, გაამყაროს და განავითაროს ორმხირივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც შიდა მასონური მიმართულებით, ანუ დიად ლოჟათა შორის ურთიერთ აღიარებითა და თანამშრომლობით, ასევე სხვადასხვა სოციალური, კულტურული და სამოქალაქო ინსტიტუტების მეშვეობით, რაც კიდევ ერთი ქვაა იმ მყარ საძირკველში, რაზეც შენდება საქართველოს დემოკრატიული და დამოუკიდებელი რესპუბლიკა.

2015 წლიდან დღემდე, საქართველოს დიადი ლოჟა სცნო რამდენიმე ათეულმა დიადმა ლოჟამ, სდლ-ი გახდა სხვადასხვა რეგიონული თუ საერთაშორისო მასონური გაერთიანების წევრი, დამფუძნებელიც კი. საქართველოში შემოდის ძველი და აღიარებული შოტლანდიური წესდების უმაღლესი ხარისხები, რაც დამოუკიდებელი საქართველოს უმაღლესი საბჭოს შექმნის საწინდარია. სდლ-ის წევრები თავისუფლად წევრიანდებიან ანგლიკანურ როზენკროიცერთა, მარტინისტთა თუ სხვა ეზოთერულ საზოგადოებებში. რაც მთავარია, საქართველოს დიადმა ლოჟამ გააცნო საქართველო, როგორც სახელმწიფო და ქვეყანა მრავალ ჩვენ ევროპელ და საერთაშორისო მეგობარსა და პარტნიორს.

საქართველო და საფრანგეთი, სხვადასხვა კონტინენტურ-ევროპული იურისდიქციის მხარდაჭერით გამოვიდა საერთაშორისო მასონური კვლევითი ინსტიტუტის (IMRI) დაფუძნების ინიციატორად 2017 წელს. აღნიშნული ინსტიტუტი აწარმოებს არა მხოლოდ საკუთრივ მასონურ კვლევებს, აკადემიურ თუ სამეცნიერო საქმიანობას, არამედ ფოკუსირებულია სამოქალაქო საზოგადოების, დემოკრატიული ფასეულობებისა და სიტყვის თავისუფლების დაცვა - განვითარებაზე.

საქართველოს დიადი ლოჟა 2020 წელს კიდევ უფრო გაბედულ ნაბიჯს დგამს და წარადგენს საკუთარ თავს ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე, უფრო აქტიურად ვიდრე მანამდე, უფრო მიზანმიმართულად და მეტი შედეგის მოლოდინით. ჩვენი ერთ-ერთი ამოცანაა იმ ხელოვნური იზოლაციის გარღვევა, რომელიც თავს მოგვახვიეს აი უკვე 100 წელზე მეტია, ახალი პერსპექტივების, პროგრესული მომავლისა და თავისუფლების დამკვიდრების საზიანოდ. მიგვაჩნია, რომ საქართველოს დიადი ლოჟა, ქართული, ეროვნული მასონური ორდენი, წარმოადგენს ერთ-ერთ ხიდს ჩვენი სახელმწიფოსა და მის მეგობრებს შორის, ერთ-ერთ საშუალებას, რომელიც მუდამ დგას სახელმწიფოებრიობის, სუვერენიტეტისა და ღირსეული, თანასწორი და სამართლიანი განვითარების სადარაჯოზე.

საქართველოს დიადი ლოჟის იურისდიქციაში შემავალი სიმბოლური ლოჟები ამყარებენ ძმურ, ორმხრივ ურთიერთობებს სხვადასხვა იურისდიქციის პარტნიორ სიმბოლურ ლოჟებთან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. რეგიონული და საერთაშორისო ერთობების ფორმატში, საქართველო ყოველთვის წარმოჩინდება, როგორც ქართული, კავკასიური, ღირსეული ტრადიციების მატარებელი, დასავლური ფასეულობებისა და ცივილიზაციის შეუცვლელი ნაწილი. სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიება, რომელიც ტარდება საქართველოს ტერიტორიაზე, კიდევ უფრო მეტად ხელს უწყობს ჩვენი სამშობლოს წარმოჩინებასა და გაცნობას უცხოელი პარტნიორებისთვის.

2020 წელს იგეგმება სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიება, დიადი ლოჟის 5 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მათ შორის გამორჩეულია საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა მასონური მორჩილების, იურისდიქციის და ლოჟის, ასევე სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორის, მედიის და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლების შეკრებას, სხვადასხვა საინტერესო და ქვეყნისთვის თუ დიადი ლოჟისთვის მნიშვნელოვანი თემის განსახილველად.

ჩემი სტატიის ბოლოს, არ შემიძლია არ მოვიყვანო ციტატა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ვაჟა ფშაველას მიმართვიდან ერს:

„ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, - რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელი ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრედვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა;

თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში... ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოგდება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკბება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად. ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო - მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით", „მეფე ლირით" ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკბება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკბება „ვეფხისტყაოსნით" და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნცა კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? - არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება... მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფის ავ-კარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე. პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე - საზრდოდ, ნანა - მოსასვენებლად. ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, - ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულა და ბავშვობა გაუტარებია. ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? - იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, - სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსამე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ... პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს. ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა. 1905 წ."

და ბოლოს, კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ დღესასწაულებს! დარწმუნებული ვარ, რომ 2020-2025 წლები იქნება საქართველოს და მსოფლიოს პროგრესული ნაწილის ინტეგრაციის, ამასთანავე, საქართველოს დიადი ლოჟის აღიარებების, მხარდაჭერისა და განვითარების მომტანი პერიოდი. საქართველო აღარ დაუბრუნდება სიბნელეს, როგორც არ უნდა ეცადოს მავანი, მათ შორის საქართველოში „პარალელური მასონური კვაზი-სტრუქტურების" შექნით, მასონური ორდენის, პატრიოტების თუ სახელმწიფოს ინსტიტუტების დისკრედიტაციას. საქართველომ მყარად აირჩია მდგრადი განვითარების და თავისუფლების გზა!

თავისუფლება. თანასწორობა. ძმობა.

Liberte. Egalite. Fraternite.

საქართველოს დიადი ლოჟის დიადი ოსტატის მოადგილე ყოვლად ღირსეული ძმა გიორგი პ.·.

მარტინიზმი - ისტორია და საფუძვლები

ძვირფასო ძმებო, ძვირფასო მკითხველო,

2018 წლის დეკემბრის გამოცემაში, შემოგთავაზეთ ჩემი ნაშრომი როზენკროიცერული საზოგადოების ისტორიასთან, მითებთან თუ რეალობასთან, ფილოსოფიასთან და დღევანდელობასთან დაკავშირებით. მოხარული ვარ, რომ ერთგული მკითხველი ამ საკითხმა - თემამ დააინტერესა, ისევე როგორც შესაძლებლობამ ინგლისის ვარდისა და ჯვრის - როზენკროიცერთა საზოგადოებაში გაწევრიანების შესაძლებლობამ. შეგახსენებთ, რომ ამ საზოგადოების წევრობა შესაძლებელია მხოლოდ ოსტატი მასონებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საზოგადოება არ არის მასონური კლასიკური გაგებით, და მხოლოდ იმ ოსტატი მასონებისთვის, რომელთა დიად ლოჟას აღიარებს ინგლისის გაერთიანებული დიადი ლოჟა. ასეთი შესაძლებლობა გააჩნიათ ქართველ მასონებსაც, ბრიტანელი მასონების ოფიციალური გადაწყვეტილებით. ვიმედოვნებ, სულ მალე საქართველოში გაიხსნება როზენკროიცერთა კოლეჯი, მანამდე კი ქართველი ძმები მუშაობენ ინგლისსა და ნიდერლანდებში.

დღევანდელი, 2019 წლის დეკემბრის ჩვენს გამოცემაში, თქვენი ყურადღება მსურს შევაჩერო საკმაოდ საინტერესო და საქართველოში ნაკლებად ცნობილ ეზოთერულ მიმართულებაზე - მარტინისტთა ჰერმეტულ ორდენზე. აღნიშნული მასალა შევა 2020 წლის საიუბილეო გამოცემაში, სოლომონ ასურელის წიგნში „მარადიული მისტერიები“.

მარტინიზმი წარმოადგენს ეზოთერული ქრისტიანული მისტიციზმის ფორმას, რომლის დოქტრინაც აღწერს პირველი ადამიანის დაცემას ღვთაებრივიდან მატერიალურში და იმ გზებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია კვლავ დაბრუნება და რეინტეგრაცია ღვთაებრივში. დასაწყისში მარტინიზმი, როგორც მისტიკური ტრადიცია განეკუთვნებოდა მასონური ზედა ხარისხების სისტემას, რომელიც 1740 წელს შექმნა პასკუალემ საფრანგეთში და შემდგომ განვითარდა ორ სხვადასხვა ფორმით, ლუი კლოდ დე სენ მარტენისა და ჟან-ბატისტ ვილერმოზისხელშეწყობით. მარტინიზმი, ამ ორი მიმართულების დოქტრინების, ამასთანავე, 1886 წელს პაპიუსისა და შაბოსოს მიერ დაფუძნებული და აღორძინებული „მარტინისტთა ორდენის“ ერთიანი სახელწოდებაა. მარტინიზმის ასეთი „დამაბნეველი“ დაყოფა რამდენიმე ტრადიციად XVIII ს. არ არსებობდა. ეს მოგვიანებით მოხდა,

ტრადიციის სამი განშტოება:

1. "სამყაროს რჩეულ კოენთა მასონ-რაინდთა ორდენი“ (ელუს კოენი) - მასონურ უმაღლეს საფეხურთა ეზოთერული და ტეურგიული სისტემა, რომელიც XVIII საუკუნეში ცნობილი მისტიკოსმა, კაბალისტმა, მასონმა მარტინეს დე პასკუალემ დაარსა. პირველი ორდენი XIX საუკუნეში დაიშალა, მაგრამ XX საუკუნეში რობერტ ამბელენმა ორდენი აღადგინა და დღემდე არსებობს მისი რამდენიმე განშტოება.

2. შოტლანდიური გამოსწორებული წესდება ან წმინდა ქალაქის ღირსეული რაინდები, წარმოადგენს შოტლანდიური მკაცრი რიტუალის რეფორმირებულ ვარიანტს. მის საფუძველს რჩეულ მსაჯულთა (ელუს კოენი) ფილოსოფია წარმოადგენს. წმინდა ქალაქის ღირსეული რაინდები 1778 წელს დაფუძნდა ჟან ბატისტ ვილერმოზის მიერ, რომელიც პასკუალეს მოწაფე და სენ-მარტენის მეგობარი იყო. მათ არასდროს შეუწყვეტიათ საქმიანობა და დღემდე არსებობენ, მაგრამ ორი განშტოებით, რეგულარული და არარეგულარული (ღიაა ქალბატონებისთვის).

3. ლუი-კლოდ დე სენ-მარტენის მარტინიზმი მისტიური ტრადიციაა, რომლის უმთავრესი ყურადღება მედიტაციასა და შინაგან სულიერ ალქიმიას ეთმობოდა. სენ-მარტენმა, სხვა, მისი თანამედროვე მარტინისტთა განსხვავებით „გულის გზა“ აირჩია, რომელიც რეინტეგრაციისაკენ მიდის. მან ამ გზაზე ჩათვალა, რომ ორდენის შექმნა ზედმეტი იყო, სენ-მარტენი მხოლოდ პატარ-პატარა წრეებს ქმნიდა, სადაც მის მოწაფეებს დარიგებებს აძლევდა. სენ-მარტენის გარდაცვალების შემდგომ, ჟერარ ანკოსი (პაპიუსი) და ოგიუსტ შაბოსო, 1886 წელს, მარტინისტთა ორდენს აფუძნებენ.

პაპიუსის მიერ დაფუძნებული მარტინისტთა ორდენი ლოჟების სახით ჩამოყალიბდა, რომლებიც დიად ლოჟებში ერთიანდებოდნენ, ქვეყნების მიხედვით. თითო დიად ლოჟაში მინიმუმ სამი ლოჟა იყო გაწევრიანებული, თავის მხრივ დიადი ლოჟები კი ექვემდებარებოდნენ მარტინისტთა ორდენის უმაღლეს საბჭოს. ორდენი ოთხ საფეხურზე მუშაობდა. რიტუალი და სწავლებები დაფუძნებული იყო სამ „მიძინებულ“ მასონურ მისტიკურ - ტეურგიულ წესდებაზე: ელუს კოენი, შოტლანდიური გამოსწორებული წესდება და „გამოსწორებულ წესდებაზე“. ორდენი კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ინარჩუნებდა თავისუფალ ქვისმთლელებთან, ვინაიდან სხვადასხვა იურისდიქციის მასონები მარტინისტთა ორდენშიც

იყვნენ გაწევრიანებული. ამ სისტემაში პირველი ორი ხარისხი წარმოადგენს მარტინისტული იდეების გასაღებს. მესამე ხარისხი კი, უკვე ინიცირების ხარისხი იყო, იმ მისტერიებში, რომელიც თვით სენ-მარტენი უზიარებდა მის მოსწავლეებს. მარტნისტი შეიძლება გახდეს ადამიანი, რომელიც იზიარებს მარტინისტთა იდეას, ფილოსოფიას, რომელიც თვით სენ-მარტენიდან მოდის, ე.წ. „თავისუფალი ინიცირების“ სისტემით.



მარტინიზმში გამოკვეთილია ქრისტიანული მისტიციზმი, ყველა ლოჟის მუშაობა იხსნება პენტაგრამატონის გამოყენებით (ლათ. Yeheshuah, ივრითი - יהשוה), ანუ ტეტრაგრამატონის, ღვთაებრივი სახელის (ლათ. yod-he-waw-he; ივრითი - יהוה), რომლის ცენტრში დამატებულია ასო „შინ“ (ივრითი - ש). მიუხედავად იმისა, რომ მარტინისტთა ორდენი მასონური ლოჟების პრინციპზეა დაფუძნებული, მასონთა სიმბოლურ ხარისხებთან მათ რიტუალებს არანაირი საერთო არ აქვთ. რიტუალს აქვს საკუთარი დრამატული და ეზოთერული შინაარსი, მათ შორის მარტინეს დე პასკუალეს ფილოსოფიის ელემენტები. რიტუალის განსაკუთრებულ მომენტებში კანდიდატისგან ელიან, რომ იგი მხოლოდ საკუთარი ინიციატივითა და გონით უპასუხებს შეკითხვებს. კანდიდატს, რიტუალის დროს წარმოდგენილი სიმბოლიკის გაანალიზებასა და აზროვნების გამოყენებაში უწყობენ ხელს.

მარტინიზმი XX - ე საუკუნეში

საინტერესო ფაქტი - 1905 წელს რუსეთის უკანასკნელმა იმპერატორმა, ნიკოლოზ მეორემ, რუსეთში პაპიუსი და ფილიპ ნიზიე მიიწვია. იმპერატორს სტუმრებისგან აინტერესებდა რჩევები იმ პრობლემებზე, რომელიც იმპერიას 1905 წლის რევოლუციის შემდგომ აჩრდილივით წამოადგა. პაპიუსი რუსეთში სულ სამჯერ იყო, მისი მისია იყო ლექციები მაგიაში და ოკულტიზმში, მარტინისტთა ორდენის გაძლიერება. იგი, ასევე საიმპერატორო ოჯახის ექიმი და ოკულტური მრჩეველი გახლდათ. სწორედ პაპიუსის მესვეურობით მოხდა იმპერატორ ნიკოლოზ მეორის მარტინისტთა ორდენში ინიცირება. 1913 წელს პარიზში საფრანგეთის ნაციონალური დიადი ლოჟა დაფუძნდა, რომელიც ინგლისის გაერთიანებულმა დიადმა ლოჟამ აღიარა (2012 წელს, დაახლოებით 100 წლის შემდგომ, ამ დიადმა ლოჟამ დაკარგა მასონური რეგულარულობა, რამდენიმე წლით).

საფრანგეთის ნაციონალური დიადი ლოჟა მუშაობდა შოტლანდიური გამარტივებული (გამოსწორებული) რიტუალით, რომელსაც პაპიუსი თანაუგრძნობდა. პაპიუსი, როგორც მარტინისტთა ორდენის მაგისტრი, იწყებს მოლაპარაკებებს საფრანგეთის ნაციონალური დიადი ლოჟის დიად ოსტატთან, ედუარდ დე რიბოკურთან, რომლისგანაც ითხოვდა უფლებას მასონური დიადი ლოჟის ფრთის ქვეშ რამდენიმე ისეთი მასონური ლოჟის დაარსებისა, რომელშიც მხოლოდ მარტინისტები გაწევრიანდებოდნენ და ეს ლოჟები იმუშავებდნენ შოტლანდიური გამოსწორებული წესდებით. პირველმა მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა ამ გეგმებს, პაპიუსი მოხალისედ წავიდა ფრონტზე, სადაც ექიმად მუშაობდა. ომის პერიოდში მას შეეყარა ტუბერკულიოზი, რისგანაც, 1916 წელს, პაპიუსი გარდაიცვალა. საერთოდ, პირველმა მსოფლიო ომმა, ბევრი გავლენიანი მარტინისტის სიცოცხლე შეიწირა, მრავალი მათგანი იყო იმ პერიოდში ფრონტზე წასული. პაპიუსის მემკვიდრედ და ორდენის დიად მაგისტრად შარლ დეტრე (ტედერი) აირჩიეს. ამავე წელს, ტედერი ვარდისა და ჯვრის კაბალისტური ორდენის ხელმძღვანელიც ხდება. თუმცა, ტიდერს არ ეყო ენერგია და დრო მარტინისტთა ორდენის ღირსეული განვითარებისათვის, იგი აახლოებს მარტინიზმს მასონობასთან, მისი სიკვდილის შემდგომ, მარტინისტთა ორდენი ორ განშტოებად იყოფა: მარტინისტთა სინარქიული ორდენი, რომელსაც ტედერის ქარტიის მემკვიდრეობით ხელმძღვანელობდა დიადი ოსტატი ვიქტორ ბლანშარი და მარტინისტთა ლიონის ორდენი, რომელსაც დიდი ოსტატი ჟანომ ბრიკო იყო.

საწყისი განხეთქილება დაფუძნებული იყო ჟან ბრიკოს მიერ გატარებულ რეფორმებზე, რომელსაც მარტინისტთა უმრავლესობა არ დაეთანხმა. ჟან ბრიკო ცდილობდა მარტინისტთა ორდენთან გაეერთიანებინა გნოსტიკური ეკლესია და ის მასონური ლოჟები, რომლებსაც ის აკონტროლებდა. მას ამით ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა სურდა. მის ამ მისწრაფებას შეეწინააღმდეგა ვიქტორ ბლანშარი, რომელიც მარტინისტთა დიადი ოსტატი გახლდათ და ეს „თანამდებობა" მან ტედერის გარდაცვალების შემდგომ ლეგიტიმურად მიიღო. მიუხედავად გაყოფისა, მარტინისტთა ორივე განშტოებამ შეინარჩუნა მეგობრული ურთიერთდამოკიდებუ-ლება. 1931 წელს, გამოეყო მესამე განშტოება, რომელსაც პიერ ოგიუსტ შაბოსო ხელმძღვანელობდა. მისი გამოყოფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი ის იყო, რომ შაბოსოს ვერ წარმოედგინა საკუთარი თავი იმ ორდენებში, რომლებსაც ის არ ხელმძღვანელობდა პირადად, ვინაიდან სწორედ ის - შაბოსო, პაპიუსთან ერთად აფუძნებდა მარტინისტთა ორდენს XIX საუკუნის დასასრულს. შაბოსოს უერთდება პირველი უმაღლესი საბჭოს (1891 წ.) კიდევ ორი წევრი ვიქტორ-ემილიუ მიშლე და ლიუსიენ შამიუელი, მათ მიერ აღორძინებულ ორდენს (მესამე განშტოებას) მარტინისტთა ტრადიციული ორდენი (OMT) ეწოდა. თავიდან, ორდენის დიად ოსტატად ვიქტორ-ემილ მიშლე იყო არჩეული, თუმცა, მას 1939 წელს ოგიუსტ შაბოსო ცვლის. ამავე წელს, შაბოსო მიმართავს ვარდისა და ჯვრის ორდენს აშშ-ში, მის ხელმძღვანელს - რალფ მაქსველ ლიუისს და სთხოვს მარტინისტთა ორდენის განვითარების ხელშეწყობას აშშ-ის ტერიტორიაზე. თვით ლიუისიც მარტინისტი იყო (სინარქიული განშტოება). საბოლოოდ, მარტინისტთა ტრადიციული ორდენი მთლიანად შთანთქა ვარდისა და ჯვრის აშშ-ის ორდენმა.

მეორე მსოფლიო ომმა ისეთივე ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა მარტინისტთა ორდენზე, როგორც პირველმა. ნაცისტურმა რეჟიმმა ჩაახშო - გაანადგურა ყველა საიდუმლო, ეზოთერული, ოკულტური და სხვა მსგავსი ორგანიზაცია, საძმო, ორდენები და საზოგადოებები, მრავალი მარტინისტი იქნა განადგურებული საკონცენტრაციო ბანაკებში. ამასთანავე, აშშ-ში და ევროპაში მარტინიზმის ყველა განშტოება შენარჩუნდა, გაჩნდა დამატებითი ხარისხი I:::L::: (თავისუფალი ინიციატორი - ფრ. Initiateur Libre), რომელსაც დიადი მაგისტრობის შესაძლო კანდიდატები იყენებდნენ, რათა მათ შესძლებოდათ საკუთარი ხელდასმით, ლოჟაში ახალი კანდიდატების ინიცირება (მაგ. საკონცენტრაციო ბანაკებში).

მარტინესიზმის დოქტრინა

მოკლედ წარმოგიდგენთ მარტინეს დე პასკუალეს დოქტრინას, რომლის გაანალიზება საინტერესოა მარტინისტა ფილოსოფიის გასააზრებლად. ამ მხრივ, რამდენიმე სანდო წყაროს დავეყრდნობი, პასკუალეს თანამედროვე ისტორიკოსებს - რობერტ ამადუს, სერჟ კაიეს და ანტუან ფავრეს. ვან რიინბერკიმარტინესის შეხედულებებს ასე წარმოადგენს: „იმისათვის, რომ მარტინესის დოქტრინაზე შეხედულების გარკვეული ფორმირება მოხდეს, ჩვენ შეგვიძლია სამი დოკუმენტით ვიხელმძღვანელოთ - „ტრაქტატი არსებათა რეინტეგრაციის შესახებ, მათ საწყისს თვისებებში და ძალაში, როგორც სულიერ, ისე ღვთიურში", მეორე დოკუმენტია - „კოენის რჩეულთა ორდენის რიტუალები და კატეხიზისი" და მესამე - წერილები მაგიურ ოპერაციებზე, რომლებიც ოსტატმა ვილერმოზს მისწერა. „ტრაქტატი" შეიცავს საიდუმლო დოქტრინას (რომელიც მხოლოდ ვარდის და ჯვრის ხარისხებს ეხება). მასში საუბარია სულის დაცემაზე, ადამიანთა დაცემა მატერიაში, გადმოცემულია დედამიწისა და სამყაროს ოკულტური ისტორია, ბოროტების და დემონური ძალების საიდუმლო როლი და ის შესაძლებლობა, რომელიც კაცობრიობას გააჩნია საწყისს მდგომარეობაში დასაბრუნებლად.

ორდენის რიტუალებსა და კატეხიზისებში იგივე დოქტრინა გვხდება. ამასთან, აქ ის შეფუთულია მითიური ელემენტებით, რომელიც დამახასიათებელია მასონობისათვის. მასში აღწერილია, თუ როგორ შეუძლია ადამიანს განიწმინდოს და შეეცადოს დაბრუნდეს საწყისს ღვთაებრივში, გარდაცვალების შემდგომ. და ბოლოს, ვილერმოზის წერილებში აღწერილია, თუ როგორ არის ტეურგიის მეშვეობით შესაძლებელი დაიბრუნოს ადამიანმა კავშირი უმაღლესთან, უზენაესთან".

მარტინესის დოქტრინა - ეს არის არსებათა რეინტეგრაციის დოქტრინა. რეინტეგრაცია გულისხმობს გაძევებას, ტრაგიკულ მოვლენებსა და კვანძის გახსნას, რომელიც მას (რეინტეგრაციას) წინ უსწრებს. თეორიული და ოპერატიული პრაქტიკის (ევოკაცია) მეშვეობით, ადამიანმა უნდა მიაღწიოს შერიგებას ღმერთთან, შემდგომ კი განიცადოს რეინტეგრაცია მის საწყის მდგომარეობასთან. საინტერესოა, აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი დოქტრინა მიუახლოვდა ნეოპლატონურ ჰერმეტულ კონცეპციებს. ამასთანავე, ტრაქტატი არ არის ბოლომდე გამჭირვალე, გასაგებად რთულია და გადატვირთული. მარტინესის მიხედვით, ღმერთმა დასაჯა ის სულიერი არსებები, რომელთა შორის იყვნენ ისინი, ვინც აჰყვა ამპარტავნობას, მოინდომეს რა ღმერთთან გათანაბრება და თვითონ გადაწყვიტეს გამხდარიყვნენ შემქმნელები. ღმერთმა ისინი სულიერი სამყაროდან განდევნა, იქიდან სადაც ისინი ბინადრობდნენ. შემდგომ ღმერთმა შექმნა ანდროგენე, ადამი, იმისათვის, რომ მას ებატონა ამ სულებზე. მაგრამ ადამიც ამ სურვილების მსხვერპლი გახდა, მასაც მოუნდა გამხდარიყო შემქმნელი.

ამიტომ, ადამიც განიდევნა დედამიწაზე, რითიც დაკარგა კავშირი ღმერთთან და ამ მომენტიდან მას უწევდა სულიერი მეკავშირეების გამოყენება, იმისათვის, რომ აღედგინა კავშირი შემქმნელთან და მას შერიგებოდა. სწორედ ეს არის ყველა ტეურგიული ოპერაციის აზრი და მიზანი, რასაც ასწავლიდა მარტინესი. მარტინესის იდეები და დორქტრინა საკმაოდ მარტივად არის წარმოდგენილი. სენ-მარტენი შიდაგზის თეორიაზე ამბობს უარს, თუმცა საბოლოოდ მას არ უარყოფს. იგი ყოველთვის აღიარებდა მისი მასწავლებლის შრომის, სწავლებათა და დოქტრინის ფასეულობასა და მნიშვნელობას, მხოლოდ საუბრობს ამ გზის ხიფათზე. ამასთანავე, სენ-მარტენის დოქტრინა რჩება იგივე თავის საფუძველში, ისიც საუბრობს სულების და ადამიანის დაცემაზე მატერიაში და იმ შესაძლებლობებზე, რომელიც მათ დააბრუნებს უკან ღვთაებრივ საწყისებთან, შერიგების გზით.

ორდენის რიტუალებსა და კატეხიზისებში იგივე დოქტრინა გვხდება. ამასთან, აქ ის შეფუთულია მითიური ელემენტებით, რომელიც დამახასიათებელია მასონობისათვის. მასში აღწერილია, თუ როგორ შეუძლია ადამიანს განიწმინდოს და შეეცადოს დაბრუნდეს საწყისს ღვთაებრივში, გარდაცვალების შემდგომ. და ბოლოს, ვილერმოზის წერილებში აღწერილია, თუ როგორ არის ტეურგიის მეშვეობით შესაძლებელი დაიბრუნოს ადამიანმა კავშირი უმაღლესთან, უზენაესთან".

მარტინესის დოქტრინა - ეს არის არსებათა რეინტეგრაციის დოქტრინა. რეინტეგრაცია გულისხმობს გაძევებას, ტრაგიკულ მოვლენებსა და კვანძის გახსნას, რომელიც მას (რეინტეგრაციას) წინ უსწრებს. თეორიული და ოპერატიული პრაქტიკის (ევოკაცია) მეშვეობით, ადამიანმა უნდა მიაღწიოს შერიგებას ღმერთთან, შემდგომ კი განიცადოს რეინტეგრაცია მის საწყის მდგომარეობასთან. საინტერესოა, აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენილი დოქტრინა მიუახლოვდა ნეოპლატონურ ჰერმეტულ კონცეპციებს. ამასთანავე, ტრაქტატი არ არის ბოლომდე გამჭირვალე, გასაგებად რთულია და გადატვირთული. მარტინესის მიხედვით, ღმერთმა დასაჯა ის სულიერი არსებები, რომელთა შორის იყვნენ ისინი, ვინც აჰყვა ამპარტავნობას, მოინდომეს რა ღმერთთან გათანაბრება და თვითონ გადაწყვიტეს გამხდარიყვნენ შემქმნელები. ღმერთმა ისინი სულიერი სამყაროდან განდევნა, იქიდან სადაც ისინი ბინადრობდნენ. შემდგომ ღმერთმა შექმნა ანდროგენე, ადამი, იმისათვის, რომ მას ებატონა ამ სულებზე. მაგრამ ადამიც ამ სურვილების მსხვერპლი გახდა, მასაც მოუნდა გამხდარიყო შემქმნელი. ამიტომ, ადამიც განიდევნა დედამიწაზე, რითიც დაკარგა კავშირი ღმერთთან და ამ მომენტიდან მას უწევდა სულიერი მეკავშირეების გამოყენება, იმისათვის, რომ აღედგინა კავშირი შემქმნელთან და მას შერიგებოდა. სწორედ ეს არის ყველა ტეურგიული ოპერაციის აზრი და მიზანი, რასაც ასწავლიდა მარტინესი. მარტინესის იდეები და დორქტრინა საკმაოდ მარტივად არის წარმოდგენილი. სენ-მარტენი შიდაგზის თეორიაზე ამბობს უარს, თუმცა საბოლოოდ მას არ უარყოფს. იგი ყოველთვის აღიარებდა მისი მასწავლებლის შრომის, სწავლებათა და დოქტრინის ფასეულობასა და მნიშვნელობას, მხოლოდ საუბრობს ამ გზის ხიფათზე. ამასთანავე, სენ-მარტენის დოქტრინა რჩება იგივე თავის საფუძველში, ისიც საუბრობს სულების და ადამიანის დაცემაზე მატერიაში და იმ შესაძლებლობებზე, რომელიც მათ დააბრუნებს უკან ღვთაებრივ საწყისებთან, შერიგების გზით.

მარტინიზმის დოქტრინა

ახლა კი მოკლედ ვისაუბრებ, სენ-მარტენის და მარტინიზმის იდეებზე და მიღწევებზე. სენ-მარტენი იყო თავისუფალი მასონი, რჩეული კოენი, მესმერის მიმართულების წევრი. მან სამივე ამ საზოგადოების რიტუალი მიიღო და მოგვიანებით გამოიყენა ისინი. როგორც განმანათლებლური საზოგადოებების წევრი სენ - მარტენი იდეალურად მოღვაწეობდა ამ ტრადიციებისა და რიტუალების ფარგლებში, თუმცა, ეს მისი ცხოვრებისა და საქმიანობის გარკვეულ ეტაპზე იყო. რაღაც მომენტში, ის, როგორც მარტინესის მდივანი და მოწაფე ეკითხება საკუთარ მასწავლებელს - „არის თუ არა ასე აუცილებელი ყოველივე ეს, იმისათვის, რომ ვილოცოთ უფლისადმი?" ეს მიმართულება უფრო და უფრო ხიბლავდა მას. ის ყველგან და ყოველთვის ეძებდა ღმერთს, შემქმნელს,.. მას კლავდა სილამაზის, ჭეშმარიტებისა და სიკეთის წყურვილი, რომელიც მხოლოდ ღმერთს შეეძლო დაეკმაყოფილებინა. შემდგომ სენ - მარტენმა აღმოაჩინა იაკობ ბემე, რომლის გზავნილმა წარმოუჩინა ჭეშმარიტება უცნობ ფილოსოფოსს და ეს ჭეშმარიტება უფრო მკაფიო იყო ვიდრე ნებისმიერი სხვა სწავლება თუ ცოდნა, რომელიც სენ-მარტენს შეეძლო მიეღო რჩეულ კოენთა შორის. სენ-მარტენი აღწერს ბემეს: „ბემე, ცნობილია გერმანიაში, როგორც ტევტონური ფილოსოფოსი, რომელიც რამდენიმე თეოსოფიური ნაშრომის ავტორი იყო. იგი 1575 წელს ზედა ლუჟიცაში დაიბადა, საკმაოდ ღარიბ ოჯახში და მშობლების დავალებით მთელი ბავშვობა მწყემსავდა მსხვილფეხა საქონელს. როდესაც ის წამოიზარდა, მშობლებმა შესძლეს და გააგზავნეს ყმაწვილი სკოლაში განათლების მისაღებად, სადაც ის სწავლობს წერა - კითხვას. მოგვიანებით, იგი მეწაღეობას სწავლობდა. ერთხელ, მეწაღეობის შესწავლის პერიოდში, როდესაც მისი ოსტატი არ იმყოფებოდა მაღაზიაში, შემოვიდა უცხოელი, ჩაცმული საკმაოდ სადად, მარტივად, მისი სახე გარკვეულ ნდობას იმსახურებდა. უცხოელს ორი ახლად შეკერილი ფეხსაცმელი მოეწონა და შეძენა მოისურვა, მაგრამ ბემემ არ იცოდა, ეს ფეხსაცმელი იყო თუ არა გასაყიდად გამზადებული და მისი პატრონის რისხვა რომ არ გამოეწვია, ჯერ უარი განაცხადა, ხოლო შემდგომ უზომოდ მაღალი ფასი დაადო. უცხოეულმა გაიდაიხადა ეს მაღალი ფასი, ისე, რომ არც უვაჭრია და გავიდა მაღაზიიდან. რამდენიმე ნაბიჯში მაღაზიიდან ის შეჩერდა და ხმამაღალი, მტკიცე ხმით წარმოსთქვა: იაკობ, იაკობ, მოდი აქ. ახალგაზრდა კაცს, ჯერ საკმაოდ შეეშინდა ეს ხმა ასე მკვეთრად, რომ მოესმა, ხმა, რომელიც მას ნათლობის სახელით უხმობდა, მაგრამ მოიკრიბა გამბედაობა, გავიდა მაღაზიიდან და მიუახლოვდა სერიოზულ, მკაცრი იერით მდგომ უცხოელ მამაკაცს. უცხოელმა ბემეს მარჯვენა ხელზე მოჰკიდა და თქვა: - იაკობ, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, მაგრამ შენ დიადი იქნები და გახდები სულ სხვა ადამიანი, შენ ნახავ მთელს სამყაროს. ამიტომ, იყავი ღვთისმოსავი, მორწმუნე, გეშინოდეს და პატივი ეცი უფალს, მის სიტყვას. პირველ რიგში კარგად წაიკითხე წმინდა წიგნი, რომელშიც შენ მოძებნი მრავალ დარიგებას, იპოვი ნუგეშს, ვინაიდან შენ მრავალი გაქვს წინ გადასატანი, სიღატაკე და დევნა, მაგრამ იყავი მამაცი და მიზანდასახული, რადგან ღმერთს უყვარხარ და შენს მიმართ კეთილგანწყობილია". ეს თქვა უცხოელმა, ხელი ჩამოართვა, ჩახედა ბემეს გამჭოლი მზერით და წავიდა.

ამ დროიდან მოყოლებული, იაკობ ბემე იწყებს განვითარებას, იგებს ისეთ საკითხებს, რომელიც ადრე მისთვის სრულიად ამოუცნობი იყო, მათზე შემდგომ ის ნაშრომებს წერს და მკითხველს აცნობს საკუთარ იდეებს.

ბემეს „სოფიას" იდეა მოგვიანებით ხდება სენ-მარტენის და მის თანამდროვეთა განხილვის ერთ-ერთი უმთავრესი თემა. გერმანელი ბემე საუკუნეების შემდგომ, სენ-მარტენის მეშვეობით გასულიერდა და ავითარებდა საკუთარ აზრებს, შეხედულებებსა და ფილოსოფიას. „მარადიული განაგებდა ჩემით, მისი საწყისი ქმედებების დროს, მის უძველეს საქმიანობაში, შრომაში. მე ვარსებობ უსასრულო მარადიულობიდან, პირველი საწყისიდან, დედამიწის შექმნამდე..." - ეს ქალწული ღმერთს მიმსგავსებულია, ხატია მისი, მისი სიბრძნეა, მასში ირეკლავს სული და მარადიული წარმოგვიდგენს თავის სასწაულებს - ასე აღწერდა ამ იდეას ბემე. „ღვთაებრივი სიბრძნე, ასევე სოფიად წოდებული, დიდება და ბრწყინვალებაა ღმერთის, შესაბამისად წარმოადგენს სარკეს, მეოთხე გამოხატულებას, რომელსაც ღმერთი ვერ მისცემს საშუალებას - ნებას იაზროვნოს, განახორციელოს და სრულად განკარგოს საკუთარი გონი".

„სულიერი ადამიანის სახელმძღვანელოში", 1802 წელს, სენ-მარტენი აყალიბებს დასავლური სოფიოლოგიის ტრადიციის ასპექტებს: „დღეს დღეისობით არსებული ბუნება, ფიზიკური და ელემენტარული, მხოლოდ ნაშთია და სახეცვლილებაა იმ საწყისი ბუნებისა, რომელსაც ბემე უწოდებს მარადიულ ბუნებას... დღევანდელი ბუნება, რომელსაც ოდესღაც გააჩნდა სრულყოფილი საზღვრები, სამეფო, ტახტი და ანგელოზის მმართველობა, რომლის სახელი იყო ლუციფერი... ამ მმართველს სურდა ემეფა მხოლოდ ცეცხლისა და რისხვის ძალით, შეეწყვიტა მმართველობა სიყვარულისა და ღვთაებრივი სინათლისა, რომელიც უნდა ყოფილიყო მისი პირველსაწყისი სინათლის წყარო.

მან მთელი სამეფო ცეცხლში გაახვია... ღვთაებრივი სიბრძნე გამოჩნდა ამ ყოვლისმომცველი ცეცხლის საპირწონედ, შეაკავა რა ალი, თუმცა არ ჩააქრო, იგი დღეს წარმოადგენს კეთილისა და ბოროტების ჭიდილს, რომელსაც ჩვენ ბუნებაში ვხედავთ". ადამიანი, როგორც ამტკიცებს სენ-მარტენი, ბუნებაში იქნა გამწესებული იმისათვის, რომ შეაკავოს ლუციფერი სუფთა ელემენტში, მან მიიღო საკუთარი შემადგენლობა ცეცხლისაგან, სინათლის პრინციპისაგან და ასევე ბუნების ფიზიკური და ელემენტარული კვინტესენციური პრინციპისაგან. ორი ელემენტი უნდა გაერთიანებულიყო ადამიანში, ცეცხლი და წყალი, მაგრამ ისინი დღემდე განცალკევებულად არიან, ცდილობენ და ეძებენ საშუალებას რეინტეგრაციის, სწორედ ისინი შექმნიან სოფიას. ჩვენ ვხედავთ, რომ ღვთაებრივ სიბრძნეს გააჩნია უაღრესად დიდი და წონიანი მნიშვნელობა, ადამიანს მოუწევს მისი სრულად გაზიარება, რათა ხელახლა სინათლის არსი, პრინციპი გაიზიაროს.

ცნობილია სენ - მარტენის ალეგორიული შედარება სამყაროსი წიგნთან: „პირვანდელი საწყისი, ანუ ღმერთი, არის მწერალი, ბუნება კი - წიგნია, რომელსაც ის (ღმერთი) წერს, ხოლო ადამიანი კი წიგნის მკითხველია. ხშირად, ეს მკითხველი ან ვერ იგებს (არ ძალუძს) ან არ უნდა რომ გაიგოს ამ წიგნის გვერდების ზუსტი შინაარსი. საჭიროა, რომ ადამიანის გონი ხშირად ვარჯიშობდეს აზროვნებაში. უცნობი ფილოსოფოსის გულის გზა არის პარადოქსალური გზა, რომელიც როგორც ხილულ სფეროშია, ასევე უხილავში. ეს არის სურვილის გზა, რომელიც თავისთავში დინამიზმსაც მოიცავს. მარტინისტული იდეები და გზა იხსნება ჩვენთვის სხვადასხვა რაკურსით, რაც უფრო ღრმად ჩავუღრმავდებით იმ საინტერესო ნაშრომებს, რომლებიც სენ-მარტენის ავტორობით არის გამოცემული. ეს წიგნები საკმაოდ საინტერესოა, თუმცა ხანდახან შეიძლება მოგვეჩვენოს რთულად გასაგებად. იდეებს, თხზულებებს, ისტორიებს განვლილ გზაზე, რომლებიც ამ წიგნებშია, შეუძლიათ ჩვენში მთვლემი ცეცხლი გამოაღვიძოს და ააგუზგუზოს. შეიძლება ითქვას, რომ „Voie Cardiaque" - გულის გზა, მარტინიზმის მისტიკურ და ხილულ განშტოებას წარმოადგენს. ამ განშტოების უმაღლეს მწვერვალს წარმოადგენს ინიციაცია, რომელსაც სენ-მარტენი ასე აღწერს: „ერთადერთი ინიციაცია, რომელსაც მე მხარს ვუჭერ და მთელი სულით და გულით ვეძებ, არის ის, რომლის მეშვეობითაც ჩვენ შევძლებთ ჩვენს შიგნით ღმერთის გულში შესვლას, და ამით განუყრელი ქორწინების ხელშეკრულების დადებას. აუცილებელია საკუთარ სულში ჩაღრმავება, სასურველის ძიებაში, სანამ არ მივაღწევთ სულის ძლიერი და მაცოცხლებელი წყაროს განთავისუფლებას"

ვიმედოვნებ, სტატია მარტინიზმზე, ისევე დაგაინტერესებთ, როგორც ჩემი წინა სტატია ვარდისა და ჯვრის - როზენკროიცერთა ორდენის შესახებ. მოხარული ვარ, რომ საქართველოს დიადმა ლოჟამ მიიღო გადაწყვეტილება და აწი ჩვენი საზოგადოების ცნობის ფურცელი ყოველკვარტლურად გამოვა, შემდეგი გამოცემა 2020 წლის მარტში იგეგმება. საწყის ეტაპზე ელექტრონული ჟურნალის სახით, ვიმედოვნებ, რომ შემდგომ წლებში გამოიცემა ბეჭდვითი გამოცემაც.

დავამატებდი, რომ ქართველ ძმებს აქვთ მარტინიზმის ფრანგულ და ბრიტანულ ხაზებთან აქტიური ურთიერთობა, მათ შორის გამოირჩევა HOM - მარტინისტთა ჰერმეტიული ორდენი, რომელშიც იწვევენ საქართველოს დიადი ლოჟის წევრებს, ვინც უკვე გაიარა ვარდისა და ჯვრის საზოგადოებაში ინიცირება.
ჩვენი, ქართველი მასონების და ეზოთერიკოსების ჯგუფი, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შედარებით მოკლე დროში, მარტინისტთა ორდენის ლოჟა დაფუძნდეს საქართველოში, მის ტერიტორიაზე, რაც ვიმედოვნებთ ხელს შეუწყობს ქართული მარტინიზმის ტრადიციების დანერგვა-განვითარებას. მრავალი საარქივო, აკადემიური თუ ფიზიკური შრომაა ჩასადები ქართული მარტინიზმის ტრადიციების აღსადგენად, ამ მიმართულებით ახლა იწყება აქტივობა, მაგალითისთვის ცნობილია, რომ თბილისში არსებობდა მარტინისტა ლოჟა „ალისფერი მტრედის რაინდები", რომელიც 1922 წელს იქნა დარბეული ბოლშევიკური რეჟიმის მიერ და მისი წევრები ან დახვრეტილი ან გადასახლებული ციმბირში.

და ბოლოს, დიდი პატივისცემით და სიყვარულით, გილოცავთ დამდეგ 2020 წელს! დაე, იყოს ის მშვიდობიანი, თქვენი გულებისა და სულის გახსნისა და ჰარმონიის დასაწყისი!